⚔️

რინგზე ბრძოლის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები

ბრძოლაში ერთდროულად ჩაერთვებიან ორი გუნდის რობოტები. თუ 3 წუთის გასვლის შემდეგ არცერთი რობოტი არ იქნება სრულად გათიშული, გამარჯვებული განისაზღვრება ჟიურის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

გუნდების რობოტების შეფასება მოხდება 3 კრიტერიუმის მიხედვით:

- **დაზიანება– 5 ქულა**

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში, შეფასდება რობოტის გამძლეობა, რამდენად ნაკლებად იღებს რობოტი დაზიანებებს სხვა კონკურენტი რობოტისგან და ინარჩუნებს პირვანდელ სახეს. ასევე შეფასდება იმ შემთხვევაში თუ მოხდება რობოტის თვითდაზიანება.

- **შეტევა– 3 ქულა**

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში, შეფასდება რობოტის მიერ მოწინააღმდეგის წინააღმდეგ განზრახ ინიცირებული თავდასხმების სიხშირე, სიმძიმე (რამდენად მძიმედ დააზიანა მოწინააღმდეგე). აღნიშნულ კრიტერიუმში ნაკლები ქულა ასევე შეიძლება დაიწეროს იმ შემთხვევაში თუ რობოტი არ გამოიყენებს აქტიურ იარაღს და მხოლოდ ჯავშნის ან პასიური იარაღის მეშვეობით შეუტევს ოპონენტს მრავალჯერადად.

- **კონტროლი– 3 ქულა**

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში, შეფასდება რობოტის კონტროლის სისტემები, რამდენად ეფექტურად შეუძლია რობოტს საკუთარი სისტემის კონტროლი, შეტევის იარაღების გამოყენება, რამდენად გამართულია ფუნქციები.

ბრძოლის დამატებითი წესები:

🔸 **უმოძრაობის ათვლა:**
თუ რობოტი ხდება უმოქმედო ბრძოლის დროს, ანუ ვერ გადაადგილდება ან ვერ ახორციელებს რაიმე ქმედებას, იწყება 10-წამიანი ათვლა.
თუ ამ დროის განმავლობაში ის ვერ აღიდგენს ფუნქციურობას, ჩაითვლება გათიშულად, და გამარჯვება ავტომატურად ენიჭება მოწინააღმდეგეს.

🔸 **შეკავების მაქსიმალური დრო:**
შეგიძლიათ მოწინააღმდეგე დაიჭიროთ, დაბლოკოთ ან შეაკავოთ, მაგრამ მაქსიმუმ 20-30 წამით. ამის შემდეგ საჭირო იქნება გათავისუფლება. შესაბამისად, აკრძალულია რობოტის ხანგრძლივად ჩაკეტვა დროის გაჭიანურების მიზნით – ეს ჩაითვლება უსამართლო ტაქტიკად.

⚠️ **შენიშვნა:**
შეჯიბრის ყველა ეტაპი წარიმართება უსაფრთხოების მკაცრი წესების დაცვით. რობოტების დიზაინში არ უნდა გამოიყენებოდეს ადამიანისთვის საშიში ელემენტები (იხილეთ [რობოტის აწყობის წესები და პირობები]).